

ზოგიერთი კლასის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების მგრძობიარობის ანალიზი

თამაზ თადუმაძე

მგრძობიარობის ანალიზი არის მათემატიკური მოდელის თვისებრივი შეფასება- ბის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მიდგომა. მაგალითად, იმუნიტეტის პასუხის გ. მარჩუკის მოდელისათვის იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ვირუსების კონცენტრაციის დამოკიდებულება მოდელის პარამეტრებზე. მგრძობი- არობის ანალიზი მდგომარეობს თავდაპირველი და შემფოთებული მათემატიკური მოდელების (დიფერენციალური განტოლებების) ამონახსნებს შორის კავშირის მოძებნაში.

მოხსენებაში, ზოგიერთი კლასის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებე- ბისათვის მიღებულია მგრძობიარობის ანალიზისათვის საჭირო ფორმულები- ამონახსნის ვარიაციის ფორმულები.

გამოკვლევა მხარდაჭერილი იყო შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, გრანტი 31/23